საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის

ბრძანება №131

2025 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 აგვისტოს №6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 აგვისტოს №6 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 03/08/2015 წ., სარეგისტრაციო კოდი: 130000000.63.075.016006) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დანართი №3-ის (შრომის დისციპლინის დარღვევები) მე-2 მუხლის:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო“.

2. „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იზოლატორში პირის განთავსებისთანავე მისთვის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს შინაგანაწესის განმარტების ვალდებულების შეუსრულებლობა;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი — **მამუკა მდინარაძე**